

ო ქ მ ი №25

02.07.2014

სხდომას ესწრებოდა 13 წევრიდან 12, ასევე სტუ-ს სამეურნეო, სარემონტო საექსპლუატაციო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი თამაზ ცინცაძე და X სასწავლო კორპუსის კომენდანტი ირაკლი აბდუშელიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ტენდერით გამოცხადებული სარემონტო სამუშაოების შესახებ (ნ.წერეთელი).
2. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს:

პროფ. ნ. წერეთლის ინიციატივით ტენდერით გამოცხადებული სარემონტო სამუშაოების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წინა სათათბიროს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართა ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, რათა მოეხდინა კორექტირება სატენდერო პირობებში. კერძოდ, მენეჯერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ტენდერში მითითებული II-X კორპუსების შემაერთებელი დერეფნის გასარემონტებლად ფაკულტეტის ბიუჯეტიდან განკუთვნილი 60 000 ლარი (რაზეც მიუთითებდა მენეჯერი წინა სათათბირო სხდომაზე) მოხმარებოდა II-X კორპუსების კეთილმოწყობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მენეჯერს ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე, აღნიშნული დერეფნის სარემონტოდ თვითნებურად ჩაუსვავს 143 987,37 ლარი და გასარემონტებელი ობიექტების ნუსხიდან ამოულია ფაკულტეტის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული სარემონტო ობიექტები, რომელთა ღირებულება შეადგენს 66 842.84 ლარს. ნ.წერეთელმა ასევე განმარტა რომ ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური დაპირდა მას, რომ მოახდენს შესაბამის კორექტირებას რათა 143 987,37 ლარი ფაკულტეტმა განკარგოს მის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. ნ.წერეთელმა ასევე აღნიშნა, რომ მენეჯერს პროფ. გ.ქვარცხავას არანაირი უფლება არ ქონდა თვითნებურად ამოელო სარემონტო სამუშაოებიდან ფაკულტეტის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული ობიექტები და მისი ნებასურვილით ასევე შეუთანხმებლად მოეხდინა 143 987,37 ლარის განკარგვა. მან თხოვა მენეჯერს მომავალში თავი შეიკავოს ასეთი არაეთიკური ქმედებისაგან.

აზრი გამოთქვას:

მენეჯერი პროფ. გ. ქვარცხავა: მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე გაჩნდა დამატებითი თანხა 60 000 ლარი. მან სთხოვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს წარმოედგინათ დამატებითი

სარემონტო სამუშაოების ნუსხა და, რომ მხოლოდ პროფ. თ. ცინცაძემ წარმოუდგინა გასარემონტებელი ოთახების რაოდენობა, რაც გაითვალისწინა სატენდერო მოთხოვნაში. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ აღნიშნული თანხა არასაკმარისი იყო მთლიანად II-X კორპუსების შემაერთებელი დერეფნის გასარემონტებლად, მან აგრეთვე თავისი ინიციატივით სატენდერო ნუსხიდან ამოიღო აგრეთვე ფაკულტეტის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული რამოდენიმე სარემონტო ობიექტი 66 842.84 ლარის ღირებულების.

პროფ. ლ. გვასალია: მან აღნიშნა რომ გაუგებრად მიაჩნია რაც ხდება, თითქოს მენეჯერის ინფორმაციით გასანაწილებელი იყო 60 000 ლარი, დღეს ისმენს სხვა ინფორმაციას. რატომ ხდება დეკანის, სათათბიროს და ფაკულტეტის გარეშე ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.

პროფ. დ. ნოზაძე: მან აღნიშნა რომ საჭიროა ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, კარგია ახალი ფართების გარემონტება, მაგრამ როცა ფაკულტეტს უჭირს ფინანსურად, ფუფუნებად მიაჩნია აღნიშნული თანხის ამ მიმართულებით გამოყენება, თუ უნივერსიტეტი მოიძიებს დამატებით თანხებს და გარემონტდება აღნიშნული ფართი ის მიესალმება ამ ფაქტს. პროფ. დ. ნოზაძის განმარტებით მენეჯერის მიერ იგი არ იყო ინფორმირებული დამატებითი სარემონტო ობიექტების წარმოდგენის თაობაზე.

პროფ. ზ. კოვზირიძე: აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც პროფესორის მოკლებული ხელფასების ხარჯზე შეიქმნა ფაკულტეტის განვითარებისათვის საჭირო ფონდი, ელემენტარულად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას მისი განკარგვის შესახებ. მენეჯერის ერთპიროვნული გადაწყვეტილება უსათუოდ გამოიწვევს პროფესორის უკმაყოფილებასა და ვნებათაღელვას. მან წამოაყენა წინადადება მსგავსი მოულოდნელობების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნას კომისია რომელიც გააკონტროლებს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს.

პროფ. ზ. ლომსაძე: აღნიშნა, რომ წინა სათათბირო სხდომაზე მენეჯერის განმარტებით, II-X კორპუსების შემაერთებელი დერეფნის გასარემონტებლად მის მიერ გათვალისწინებული იყო 60 000 ლარი, აღმოჩნდა, რომ სატენდერო მოთხოვნებში ამ მიზნით ჩაუსვავს 143 987,37 ლარი. გაუგებარია რატომ მოხდა ამ ფაქტის მიჩუმათება. ამ ქმედებიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს ეთიკის ნორმების დარღვევასთან. მან წამოაყენა წინადადება განმეორების შემთხვევაში მენეჯერ გ. ქვარცხავას ქმედება გადაეცეს ეთიკის კომისიას განსახილველად.

პროფ. ნ. კუციავა: აღნიშნა, რომ ეს არ არის ჩემი და ვინმეს ბიუჯეტი, ეს არის ჩვენი ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომლის

პრიორიტეტებიც ერთად დავსახეთ. ამ პრინციპით მოვდივართ დღემდე და ფაკულტეტთან შეუთანხმებლად დაუშვებლად მიაჩნია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. მანვე აღნიშნა, რომ ინფორმირებული იყო მენეჯერის მიერ დამატებითი სარემონტო სამუშაოების შესახებ, თუმცა მის მიერ გადაცემული ობიექტების ნუსხა არ აისახა სატენდერო ჩამონათვალში.

პროფ. მ. ხუციშვილი: იმ პირობებში, როდესაც სასწავლო ლაბორატორიებში გაუსაძლისი პირობებია უმსგავსობად მიაჩნია მენეჯერის მიერ თვითნებური გადაწყვეტილების მიღება.

პროფ. მ. მაისურაძე: აღნიშნა, რომ მენეჯერს წარმოდგენილ ე.წ. ანგარიშში მითითებული ჰქონდა, რომ ბიუჯეტის განაწილება ხდებოდა მიკერძოებულად, საჯარო განხილვის გარეშე. სინამდვილეში 143 987,37 ლარის განკარგვა მის მიერ მართლაც მოხდა მიჩუმათებულად, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. პროფ. მ. მაისურაძემ დაგმო ეს ფაქტი.

პროფ. თ. ცინცაძე: აღნიშნა, რომ მენეჯერს მიაწოდა ფარმაციის დეპარტამენტში არსებული დამატებით გასარემონტებელი ოთახების ჩამონათვალი. მისივე თხოვნით თანხების მოძიების შემთხვევაში ყველა სართულზე სასურველია დამონტაჟდეს სველი წერტილები და ეთხოვოს დაცვის სამსახურს გაუწიოს კონტროლი უცხო პირთა შემოსვლას სასწავლო კორპუსში.

დაადგინეს

1. დაგმო ბილ იქნას მენეჯერ პროფ. გ. ქვარცხავას თვითნებობა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით. მსგავსი ქმედების გამოვლენის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცეს ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

2. ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციას მოახდინოს შესაბამისი კორექტირება, რათა ტენდერში გამოცხადებული II-X კორპუსების შემაერთებელი დერეფნის გასარემონტებლად გათვალისწინებული 143 987,37 ლარი მოხმარდეს II-X სასწავლო კორპუსების კეთილმოწყობას წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

მომხრე 11; წინააღმდეგი -1

სათათბიროს თავმჯდომარე

მდივანი



ნ. წერეთელი

მ.მშვილდაძე